საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა

იუსტიციის სამინისტროს მიერ

შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია 2018 წლის ივნისის მდგომარეობით

	საქმიანობა	ვადა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	ინდიკატორი	შესრულების შესახებ ინფორმაცია
9.1.1	სპეციალური პროგრამის ფარგლებში მოზარდების რეგულარული ვიზიტების უზრუნველყოფა ხანდაზმულთა დაწესებულებებში	2017-2018	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში– სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი		ადმინისტრაციული რესურსი	მოზარდების ხანდაზმულთა დაწესებულებაში ვიზიტები განხორციელებულია	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშულის პრევენციის ცენტრი“ ახორციელებს პროგრამას - „ორი თაობა“. პროგრამის ფარგლებში რეგულარული ვიზიტები იმართება თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში. ვიზიტის განმავლობაში 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდები აქტიურად თანამშრომლობენ პანსიონატთან და დაკავებულნი არიან სხვადასხვა აქტივობებით. საანგარიშო პერიდოდში 10 ვიზიტი გაიმართა (ზოგიერთი პროექტის ხანგრძლივობა შეადგენდა რამდენიმე ვიზიტს). 2017 წლის დეკემბერში გაიმართა სამაგიდო თამაშები

							მოხუცებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით და პროგრამის შეჯამება, საახალწლო ღონისძიება. 2018 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ბიბლიოთეკის დასუფთავებისა და წიგნების დახარისხების კამპანია, ფილმის ჩვენება და განხილვა, პანსიონატის ეზოს დასუფთავება, გამწვანება და მოპირკეთება ახალგაზრდების ჩართულობით, წიგნის კითხვის დღე, სამზარეულოს მოწესრიგება, საუბრები ორ თაობას შორის. 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ივნისამდე პროგრამაში 143 არასრულწლოვანი ჩაერთო.